

საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების, მონოგრაფიებისა და თარგმანების დაფინანსების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება არეგულირებს საქართველოს უნივერსიტეტში (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების და თარგმანების დაფინანსების წესს (შემდგომში „დაფინანსების წესი“).

1.2. დაფინანსების წესის მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ კვალიფიციური საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების შექმნას, ასევე აკადემიური ნაშრომების/პუბლიკაციების თარგმნას ფინანსური მხარდაჭერისა და სასწავლო პროგრამებში მათი ინტეგრირების გზით.

მუხლი 2. დაფინანსების მოპოვება

2.1. სახელმძღვანელოს ან/და მონოგრაფიის შექმნის ან/და პუბლიკაციის თარგმანის მიზნით დაფინანსების მოპოვება შესაძლებელია სკოლის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის ან სკოლისთვის პირდაპირი მიმართვის გზით. სკოლის მიერ გამოცხადებული კონკურსის წესი განისაზღვრება სკოლის საბჭოს მიერ, უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს თანხმობით.

2.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნით დაფინანსების მოსაპოვებლად შესაბამისი სკოლის საბჭოს შესაძლოა მიმართოს უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა (შემდგომში „აპლიკანტი“).

2.3. სახელმძღვანელოს ან/და მონოგრაფიას შესაძლოა ჰყავდეს ორი ან მეტი თანაავტორი. თანაავტორი შეიძლება იყოს საქართველოს სხვა ან უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო ან სამეცნიერო დაწესებულების აკადემიური პერსონალი.

2.4. აპლიკანტი სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის შექმნის ან/და ნაშრომის/პუბლიკაციის თარგმნის შესახებ განაცხადს წარუდგენს შესაბამისი სკოლის საბჭოს.

2.4.1. სახელმძღვანელოს შემთხვევაში, წარდგენილი განაცხადი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) სახელმძღვანელო უნდა იყოს ინოვაციური და მისი შექმნის საჭიროება განპირობებული უნდა იყოს უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში და შესაბამის სილაბუსებში მისი ინტეგრაციის აუცილებლობით;

ბ) სახელმძღვანელო უნდა პასუხობდეს უნივერსიტეტის ტექნიკურ მოთხოვნებს და სტანდარტებს.

გ) განაცხადს თან უნდა ახლდეს უნივერსიტეტის გამომცემლობასთან (როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული გამოცემის შემთხვევაში) და სტამბასთან (მხოლოდ ბეჭდური გამოცემის შემთხვევაში) წინასწარ შეთანხმებული სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა (რომლის ცდომილება საბოლოო ბიუჯეტთან არ უნდა აღემატებოდეს 20%)

2.4.2. მონოგრაფიის შემთხვევაში, წარდგენილი განაცხადი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) მონოგრაფია უნდა შეეხებოდეს აპლიკანტის სამეცნიერო-კვლევით თემატიკას და უნდა პასუხობდეს უნივერსიტეტის (სკოლის, დეპარტამენტის, ინსტიტუტის, კვლევითი ცენტრის) კვლევით პრიორიტეტებს;

ბ) მონოგრაფია უნდა პასუხობდეს უნივერსიტეტის ტექნიკურ მოთხოვნებს და სტანდარტებს.

გ) განაცხადს თან უნდა ახლდეს უნივერსიტეტის გამომცემლობასთან (როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული გამოცემის შემთხვევაში) და სტამბასთან (მხოლოდ ბეჭდური გამოცემის შემთხვევაში) წინასწარ შეთანხმებული სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა (რომლის ცდომილება საბოლოო ბიუჯეტთან არ უნდა აღემატებოდეს 20%)

2.4.3. თარგმანის შემთხვევაში, წარდგენილი განაცხადი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) თარგმანის განხორციელების შესახებ ავტორის (ავტორების) თანხმობა საავტორო უფლებების დაცვით (შეთანხმებული საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობასთან)

ბ) თარგმანის საჭიროების დასაბუთება უნივერსიტეტის კვლევით (კვლევითი თემატიკა და სხვა) ან სასწავლო პრიორიტეტებთან (სასწავლო საგნის სილაბუსებში მათი ინტეგრირების საჭიროება)

გ) თარგმანი უნდა პასუხობდეს უნივერსიტეტის ტექნიკურ მოთხოვნებს და სტანდარტებს.

დ) განაცხადს თან უნდა ახლდეს უნივერსიტეტის გამომცემლობასთან (როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული გამოცემის შემთხვევაში) და სტამბასთან (მხოლოდ ბეჭდური გამოცემის შემთხვევაში) წინასწარ შეთანხმებული სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა (რომლის ცდომილება საბოლოო ბიუჯეტთან არ უნდა აღემატებოდეს 20%)

2.5. სკოლის საბჭოსთვის კონკურსის გარეშე, პირდაპირი წესით მიმართვის შემთხვევაში აპლიკანტმა განაცხადს ასევე უნდა დაურთოს დასაბუთება მითითებული სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის ან თარგმანის კონკრეტული სასწავლო კურსის/პროგრამის ფარგლებში ინტეგრირების საჭიროების შესახებ წინამდებარე დებულების 2.4. პუნქტში მითითებულ მოთხოვნათა დაცვით.

2.6. სკოლის საბჭოსთვის წარდგენილ განაცხადს თან უნდა ერთოდეს სახელმძღვანელოს სავარაუდო შინაარსი, პროექტის გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს აპლიკანტის/აპლიკანტების ჰონორარს და სახელმძღვანელოს, მონოგრაფიისა ან/და თარგმანის გამოცემის ხარჯებს. თარგმანის შემთხვევაში ბიუჯეტი ასევე უნდა მოიცავდეს თარგმანის უფლების მოპოვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ბიუჯეტის წარდგენისას აუცილებელია აპლიკანტმა/აპლიკანტებმა წარმოადგინონ დეტალურად განსაზღვრული ჰონორარის რაოდენობა და საგამომცემლო (როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული გამოცემის შემთხვევაში) და ბეჭდვითი (მხოლოდ ბეჭდური გამოცემის შემთხვევაში) ხარჯების შესაბამისობა უნივერსიტეტის საგამომცემლო და ბეჭდვით ხარჯებთან (არაუმეტეს 20% ცდომილების ფარგლებში).

2.7. სკოლის საბჭო განაცხადის განხილვისას ითვალისწინებს აპლიკანტის/აპლიკანტების კვალიფიკაციას, სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის ან თარგმანის შინაარსს და მის შესაბამისობას უნივერსიტეტის სასწავლო კურსებთან/პროგრამებთან.

2.8. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სკოლის საბჭო შესაბამის ოქმს უგზავნის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს, რომელიც 30 კალენდარული დღის ვადაში ნიშნავს სხდომას და სკოლის საბჭოს ოქმის საფუძველზე იღებს რეკომენდაციას წარდგენილი განაცხადის დაფინანსების მიზანშეწონილობის შესახებ.

2.9. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის შექმნის ან/და ნაშრომის/პუბლიკაციის თარგმნის დაფინანსების შესახებ რეკომენდაციის მიღებისას

ითვალისწინებს მის შესაბამისობას უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებთან, სამეცნიერო-კვლევით პრიორიტეტებთან, სასწავლო პროგრამებსა და სილაბუსებში მითითებული თემატიკის საჭიროებებთან, სათარგმნი ნაშრომის/პუბლიკაციის სამეცნიერო და სასწავლო ღირებულებას და სხვა. ამასთან, სამეცნიერო საბჭოს უფლება აქვს რეკომენდაციაში მიუთითოს დასაფინანსებელი სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის შექმნის ან/და ნაშრომის/პუბლიკაციის თარგმნის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორესა და წარმოდგენილი ბიუჯეტის მოცულობის გადახედვის შესახებ.

2.10. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო რეკომენდაციით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს წარდგენილი განაცხადის დაფინანსების შესახებ. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, სამეცნიერო საბჭო დასაბუთებულ უარს უგზავნის შესაბამისი სკოლის საბჭოს.

2.10. უნივერსიტეტის რექტორის მიერ განაცხადის დაფინანსების დადებითად დაკმაყოფილების შემთხვევაში, უნივერსიტეტსა და აპლიკანტს/აპლიკანტებს შორის ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, სადაც გარდა ბიუჯეტით მოთხოვნილი ჰონორარისა, უნივერსიტეტის რექტორთან და გამომცემლობასთან შეთანხმებით შეიძლება გათვალისწინებული იყოს ავტორის/ავტორების საავტორო „როიალტი“ გაყიდული წიგნების მოგებიდან შეთანხმებული პროცენტის ოდენობით.

მუხლი 3. დაფინანსების მონიტორინგი

3.1. სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის ან თარგმანის დაფინანსების შესახებ რექტორის ბრძანების საფუძველზე უნივერსიტეტის იურიდიული სამსახური ამზადებს ხელშეკრულებას დაფინანსების წესისა და პირობების შესახებ. მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ, დაფინანსება შესაძლოა განხორციელდეს ტრანშებად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

3.2. საავტორო უფლებებთან და ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს უნივერსიტეტსა და აპლიკანტს შორის დადებული ხელშეკრულებით.

3.3. დაფინანსებული პროექტის მონიტორინგს ახორციელებს შესაბამისი სკოლის საბჭო და გამომცემლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სავალდებულო შუალედური და დასკვნითი ანგარიშების საფუძველზე.

3.4. მონიტორინგის განხორციელებისას:

- ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება ხარჯთაღრიცხვის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება შესაბამის ხარჯვით კატეგორიას;
- ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება საფინანსო სამსახურის მიერ მითითებულ ანგარიშზე დაბრუნებას;
- გ) ნაშთად ჩაითვლება პროექტის დასრულებისას დარჩენილი გაუხარჯავი თანხა, რომელიც უნდა დაბრუნდეს უნივერსიტეტის შესაბამის ანგარიშზე.

მუხლი 4. დაფინანსების შეწყვეტა და დასრულება

4.1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესაბამისად შეწყვიტოს აპლიკანტის დაფინანსება, თუ აპლიკანტმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ან/და ანგარიშში წარადგინა ყალბი ინფორმაცია.

4.2. დაფინანსების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, აპლიკანტსა და უნივერსიტეტს შორის ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.3. სახელმძღვანელო, მონოგრაფია ან/და თარგმანი ჩაითვლება დასრულებულად, თუ:

- ა) შესაბამისი სკოლის საბჭოს მიერ დადასტურდება, რომ სახელმძღვანელოს ან მონოგრაფიის შინაარსი სრულად შეესაბამება განაცხადში მითითებულ პროექტს;
- ბ) შესაბამისი სკოლის საბჭოს მიერ დადასტურდება, რომ ნათარგმნი პუბლიკაციის ქართულენოვანი ტექსტი სრულად აკმაყოფილებს თარგმანის კრიტერიუმებს;
- გ) შესაბამისი სკოლის საბჭოს თანხმობით სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის ან თარგმანის ტექსტი გამოსაქვეყნებლად გადაეცემა საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობას.